



საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია  
საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის  
მდივნის  
განკარგულება №02-600/2018

საქართველოს პრეზიდენტის 2018 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებისათვის ა. (ა). ი. პ.  
„ახალი თაობა დემოკრატიული არჩევნები“ დამკვირვებლის რეგისტრაციის გაუქმების  
თაობაზე

ქ. თბილისი

2018 წელი 5 ნოემბერი

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მე-15 მუხლის მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, 77-ე მუხლის მე-5 პუნქტის, 78-ე მუხლის მე-12 პუნქტისა და ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის ა. (ა). ი. პ. „ახალი თაობა დემოკრატიული არჩევნები“ ხელმძღვანელის გია გარსევანიშვილის მიერ წარმოდგენილი 2018 წლის 5 ნოემბრის განცხადების (ცესკოში რეგისტრაციის №5206) შესაბამისად, ვადგენ:

**მუხლი 1.** გაუქმდეს რეგისტრაცია „საქართველოს პრეზიდენტის 2018 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებისათვის ა. (ა). ი. პ. „ახალი თაობა დემოკრატიული არჩევნები“ დამკვირვებლის რეგისტრაციის თაობაზე“ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მდივნის 2018 წლის 31 აგვისტოს №02-101/2018 განკარგულებით რეგისტრირებულ დამკვირვებელს - ინგა ახალაძეს.

**მუხლი 2.** ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6) მისი გამოცემიდან 2 კალენდარული დღის ვადაში.

**მუხლი 3.** ეს განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

კომისიის მდივანი

გიორგი ჯავახიშვილი